

# სკოლისათვის მზაობის კვლევა 5 და 6 წლიან მოსწავლეებში

შორენა გოგია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების  
სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შორენა გოგია

15.12.2013

## აბსტრაქტი

ბავშვების სკოლისათვის მზაობას ფსიქოლოგები, მასწავლებლები და მშობლები განსხვავებულად განსაზღვრავენ. ფსიქოლოგები აქცენტს აკეთებენ სოციალურ, ფსიქო-ემოციურ და ინტელექტუალურ მზაობაზე, ასევე ემოციური სტრესზე... აღნიშნული მაჩვენებლებით 5 წლის ბავშვები ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ბავშვის სკოლისათვის მზაობის დადგენა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის, თუმცა დღესდღეობით არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და არც სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ სკოლისათვის მზაობის შემოწმების რესურსი. სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სკოლისათვის მზაობის კვლევა 5 და 6 წლიან ბავშვებში, მათი ემოციური მდგომარეობის შესწავლა.

ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა 5 და 6 წლიან მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ თავისებურებების ანალიზს ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე. ასევე მოცემულია სკოლისათვის მზაობის კვლევის ინსტრუმენტები.

ნაშრომში განხილულია ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო 5 და 6 წლიან მოსწავლეთა, ასევე, გოგონებისა და ბიჭების სკოლისათვის მზაობის დადგენა და მათი სასკოლო შფოთვის შემოწმება.

კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენს ნ.ი.გუტკინას \_ სკოლისათვის მზაობისა და ა.მ. პრიხოჟანის \_ სასკოლო შფოთვის დონის დასადგენი ტესტები. კვლევამ გამოავლინა, რომ სკოლისათვის მზაობის თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობაა 6 წლიან მოსწავლეებში, ასევე გოგონებში. შფოთვის დონე კი მაღალია 5 წლიან მოსწავლეებში და ვაჟებში.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ I კლასელი მოსწავლის სასკოლო მზაობა კავშირშია მოსწავლის ასაკთან. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში მოსწავლის ადრეულ ასაკში (5 წლის) შეყვანა არ არის რეკომენდირებული, რადგან შესაძლოა, რომ ასაკობრივი მოუმწიფებლობის გამო მოსწავლემ დაკარგოს სწავლისადმი ინტერესი.